ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1184516

ნომერი: AR1206634

თარიღი : 24.03.2014

გაცემის თარიღი : 25.03.2014

გაცნობის თარიღი : 01.05.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თაბუკაშვილი (ყოფ.ძნელაძე), N 33 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაალ იაკობიძე პ/ნ 01024010547
- თბილისი ტ.ტაბიძის ქ. N 76

ორგანიზაცია:
- შპს ოაზისი 9 კოდი: 211322736

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნ.ჩხაიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს."დმ სტუდა"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404862038

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს."ოაზისი9"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 211322736
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზაალ იაკობიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024010547

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 696192
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 21.05.2013

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2013 წლის 21 მაისის №696192 ბრძნებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტქტურის სამსახურის მიერ 2013 წლის 21 მაისის №696192 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი – მთაწმინდა), თაბუკაშვილის ქ. N33–ში, შ.პ.ს. "ოაზისი 9"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მდებარე სასტუმროს რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაშია 2013 წლის 24 მაისიდან 2014 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით.

2014 წლის 24 მარტს N AR1206634 განაცხადით მოგვმართა შ.პ.ს. "ოაზისი9"–ს დირექტორმა ზაალ იაკობიძემ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის გაგრძელების მიზნით 2013 წლის 21 მაისის №696192 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში დასრულების თარიღში ცვლილების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 21 მაისის №696192 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ "ძალაშია 2014 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით", შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2016 წლის 24 მაისის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 21 მაისის №696192 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.